[illegible]
მოსკოვის საპატრიარქო

სოფელ ჩერნოგუზიში ეკლესიის დაპყრობის დროს რეიდერებმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეებს სცემეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 09.05.2024. 2024 წლის 8 მაისს, უკრაინის ჩერნოვიცის რაიონის სოფელ ჩერნოგუზიში, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრის ტერიტორიაზე, „მეუ“-ს სქიზმატურ სტრუქტურასთან ასოცირებული ჯგუფი შეიჭრა. თვითმხილველების თქმით, დამნაშავეები თავს დაესხნენ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის მრევლს, რომლებიც საკუთარ სიწმინდეს იცავდნენ, – **იუწყება** ტელეგრამ-არხი „დოზორი“.

ტაძრის მიტაცების დროს თავდამსხმელებმა მრევლი სცემეს და მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის **ცნობით,** ისინი პირდაპირ გამოყარეს ტაძრიდან.

მასმედიის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც მორწმუნეებს გაუსწორდნენ, „მეუ“-ს აქტივისტებმა ტაძრის

კარს საკეტები შეუცვალეს და სიწმინდე მიიტაცეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში შემთხვევის ადგილზე მყოფი პოლიცია უმოქმედო იყო.

„დოზორის“ ტელეგრამ-არხმა ასევე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც „მეუ“-ს რეიდერები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის მიტაცებულ ტაძარში იმყოფებიან და თავს მლოცველებად აჩვენებენ. „მაგრამ კიდევ ეს არ არის იმ უზნეობის ზღვარი, რაც მათ ჩაიდინეს. თვითმხილველები აცხადებენ, რომ „მეუ“-ს კლირიკოსი, რომელიც ამ აქციას ხელმძღვანელობდა, დგას ანაფორაში, რომელი ტაძრის წინმძღვარს, მამა ანტონი ფედორაშჩაკს მოპარეს“, – ნათქვამია განცხადებაში.

როგორც ადრე მჟკ **იტყობინებოდა,** 2024 წლის 13 აპრილს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს სოფელ ჩერნოგუზის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის თემმა ხმა მისცა „მეუ“-ში გადასვლას. თუმცა, როგორც 16 აპრილს ჩერნოვიცი-ბუკოვინის ეპარქიაში განაცხადეს, სინამდვილეში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის რელიგიური თემი რჩება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი წინამძღვრის, უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრეს ერთგული, ხოლო ტაძრის გადაცემას ხმა მისცა „მეუ“-ს მრევლმა, რომელიც ასევე იმყოფება სოფელ ჩერნოგუზიში. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის მრევლის მიტროსანმა წინამძღვარმა დეკანოზმა ანტონი ფედორაშჩაკმა განმარტა, რომ რელიგიურმა საზოგადოებამ თავისი შეკრება გამართა ხარების დღესასწაულზე, 7 აპრილს, და მრევლმა მხარი დაუჭირა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დარჩენას.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91744/